



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### არღუნი

არღუნი, მდინარე, სათავეს იღებს საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, შემდეგ მიედინება ჩაჩნეთის რესპუბლიკაში. სიგრძე 148 კმ (მ. შ. საქართვე. ფარგლებში 27 კმ), აუზის ფართ. 3,4 ათ. კმ<sup>2</sup>. სათავე აქვს პირიქითა ხევსურეთში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთაზე, დათვისჯვრის უღელტ. მახლობლად. ზემო დინებაში ა. მთის სწრაფი მდინარეა, შუაწელში ხეობა განივრდება, ქვემოთში მიედინება ვაკეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმის, მიწისქვეშა, აგრეთვე მარადი თოვლისა და მყინვარების წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში. მთავარი შენაკადებია ანდაქი (ერთვის საქართვე. ფარგლებში) და შაროარღუნი.

**ი. აფხაზავა**

---